საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუმბაძე რომან ნოდარის ძე

დუმბაძე რომან ნოდარის ძე (17. III. 1964, სოფ. ფუშრუკაული, ახლანდ. ხულოს მუნიციპალიტეტი – 21. 05. 2012, მოსკოვი), გენერალ-მაიორი (1998), 1987 დაამთავრა თბილ. უმაღლესი სამხ. საარტ. სასწავლებელი, 1999 – თსუ-ის ბათუმის სამართლის ინ-ტის იურიდ. ფაკ-ტი.

1987–91 მსახურობდა გდრ-ში განლაგებულ საბჭ. ჯარებში, შემდეგ შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის სამხედრო ოლქებში თავდაპირველად ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის, შემდეგ ნაღმტყორცნელთა ბატარეის მეთაურად.

1992 დაბრუნდა საქართველოში და 1993-იდან მონაწილეობდა აფხაზეთის ბრძოლებში, იყო საქართვ. თავდაცვის სამინისტროს პოლკის შტაბის უფროსი, 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (1993–94).

2004 დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით. მიესაჯა 17 წელი. 2008 აგვ. პო *ლიტ.* გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცვალა რუსების მიერ დაპატიმრებულ 12 ქართველ სამხედრო პირზე.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994).

ლ. დოლიძე